ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის საბჭოს წევრების კანდიდატთა რეგისტრაციის, არჩევნების ჩატარების ვადებისა და პროცედურის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-11 მუხლის, 24-ე მუხლის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 25 იანვრის №1 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების" მე-18 მუხლის საფუძველზე, 2013 წლის 13 დეკემბრის №01-3956 მინდობილობისა და საინჟინრო ფაკულტეტის საბჭოს 2013 წლის 2 დეკემბრის №12 სხდომის გადაწყვეტილების გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. დაინიშნოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საინჟინრო ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატთა არჩევნები 1 ვაკანტურ ადგილზე.

2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის თარიღი განისაზღვროს 2013 წლის 19 დეკემბრიდან 2014 წლის 3 იანვრის ჩათვლით, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე უნივერსიტეტის კანცელარიაში (ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5).

3. ამ ბრძანების მეორე პუნქტით განსაზღვრული განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

   ა) კანდიდატის სახელი და გვარი მის მიერ დაკავებული აკადემიური თანამდებობის მითითებით;

   ბ) პირადი ნომერი.

4. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი შეავსოს 2 დღის განმავლობაში. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უარი რეგისტრაციაზე კანდიდატს შეუძლია გაასაჩივროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან 1 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს საჩივრის მიღებიდან 3 დღის ვადაში.

5. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტიდან აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატთა არჩევნები ჩატარდეს 2013 წლის 9 იანვარს 12:00 საათიდან 14:00 საათამდე.

6. საინჟინრო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელს დაევალოს უზრუნველყოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის საინჟინრო ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისათვის მიწოდება.

7. უნივერსიტეტის სამდივნოს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება.

8. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები სამდივნოს, საინჟინრო ფაკულტეტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ზურაბ ჯავახიშვილი